

**სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“
პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-12¹ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ №99/ნ ბრძანების მე-8 მუხლის „ა“ პუნქტისა და ამ წესის შესაბამისად.
2. წინამდებარე წესის შესაბამისად, პერსონალის სამსახურში მიღებისათვის დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიზანია კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასება.
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თითოეული ადმინისტრაციული/დამხმარე/მომსახურე პერსონალის თანამდებობისათვის.
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციის, გამოცდილების, საჭიროების შემთხვევაში, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენის ცოდნის, აგრეთვე სხვა პირობებთან შესაბამისობის შემოწმებას.
5. თითოეული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მის მიერ დასაკავებელი თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
6. პერსონალის სამსახურში მიღების გადაწყვეტილებას კოლეჯის დირექტორი იღებს მხოლოდ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისა და/ან საკონკურსო კომისიის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) დასკვნის საფუძველზე.
7. პერსონალი სამსახურში არ მიიღება, თუ ის არ აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
8. პერსონალთან, რომელიც სამუშაოდ მიიღება დროებით განსაზღვრული ვადით, კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის, შრომითი ურთიერთობები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით.
9. კოლეჯის უფლებამოსილია პერსონალი მიიღოს გამოსაცდელი ვადით, შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის შესახებაც აღნიშნება შესაბამის ბრძანებაში.

მუხლი 2. დირექცია/ადმინისტრაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. უმაღლესი განათლება.
2. სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა.
3. კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა.
4. ადმინისტრაციული თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა.
5. შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება (სასურველია).

მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაცია ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია).
3. სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები.

მუხლი 4. დამხმარე და მომსახურე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საბაზო/საშუალო ან პროფესიული განათლება.